“სითი მოლი საბურთალო”

ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირზე №70-ში მდებარე მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრის საინჟინრო სამუშაოები

ელექტრონული ტენდერი პრეკვალიფიკაციით
ეტაპი 1 – მოწვევა ინფორმაციის წარსადგენად № RFI 001-29.09.2017

თბილისი, 2017წ

ელექტრონული ტენდერი პრეკვალიფიკაციით

ეტაპი 1. მოწვევა ინფორმაციის წარსადგენად #RFI 001-26.09.2017

საქონლის/მომსახურების შესყიდვა

წინამდებარე მოწვევა არ უნდა იქნას გაგებული როგორც დამკვეთის ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება. კონტრაქტორისათვის ცნობილია და ეთანხმება იმ გარემოებას, რომ დამკვეთი პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას მიიღებს მხოლოდ თავისი შეხედულებისამებრ. შესაბამისად, პრეტენდენტის ტენდერის ეტაპზე არ/ვერ გადასვლის შემთხვევაში <u>დამკვეთი თავისუფლდება ვალდებულებისაგან დაასაბუთოს მის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, მათ შორის მონაწილე კომპანიის დისკვალიფიკაცია.</u>

შპს „IG Development Georgia“ გიწვევთ მონაწილეობა მიიღოთ „ელექტრონულ ტენდერი პრეკვალიფიკაციით“ განსაზღვრულ პირველ (საკვალიფიკაციო) ეტაპზე.

მომსახურების დასახელება: **ქ.თბილისში, ვაჟა ფშაველას გამზირზე #70 მშენებარე მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრის საინჟინრო სამუშაოები;**

პროექტის ზოგადი აღწერა: ტენდერი ეხება მრავალფუნქციური ცენტრის საინჟინრო ნაწილის სამუშაოებს. მთლიანი საამშენებლო ფართი: 98,600 მ2; რაც მოიცავს 32,000 კვ.მ. პარკინგს, 1000 პარკინგის ადგილით, რომელიც განთავსებულია მიწისქვეშა ორ სართულზე. სავაჭრო ცენტრი გადანაწილებულია 4 სართულზე. შენობას ასევე აქვს საოფისე ფართები რომელიც მდებარეობს მაღლივი კორპუსის მე-3 – 18 სართულებზე. (დეტალური ინფორმაცია დაიგზავნება პრეტენდენტის მეორე ეტაპზე მოხვედრის შემდეგ)

მომსახურების შესყიდვის პროცესი გაიყოფა 2 ეტაპად:

1. პრეკვალიფიკაცია;
2. ტენდერი;

პრეკვალიფიკაციის მიზანია:

- საქართველოს ბაზარზე მომუშავე მაღალკვალიფიციური მომწოდებლების გამოვლენა;
- პროექტის განსახორციელებლად საუკეთესო გადაწყვეტილების / ებების მოძიება;
- პრეკვალიფიკაციის შედეგად შერჩეული მომწოდებლები მოწვეულნი იქნებიან ელექტრონულ ტენდერში, რომლის მეშვეობით გამოვლინდება გამარჯვებული კომპანია/კომპანიები, რომლებთანაც გაფორმდება ხელშეკრულება ზემოთაღნიშნული მომსახურების შესყიდვაზე;
- როგორც პრეკვალიფიკაცია, ასევე მომდევნო ტენდერი ცხადდება ელექტრონული პლატფორმის **www.tenderers.net** მეშვეობით;
- პრეკვალიფიკაციაში მონაწილეობის ინსტრუქცია წარმოდგენილია ამავე ვებ გვერდზე
- მოთხოვნები შესასყიდი სისტემის მიმართ და შესასრულებელი სამუშაოების აღწერილობა წარმოდგენილია თანდართულ დოკუმენტაციაში, რომლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ამავე ვებ გვერდიდან;
- თანდართულ დოკუმენტაციაში მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი სრულად, გარკვევით, მოთხოვნებში მითითებული კრიტერიუმების გათვალისწინებით;
- პრეკვალიფიკაციის ეტაპზე წინადადებების მიღება იწყება <u>**2017 წლის 3 ოქტომბერს, 12:00 სთ-დან და მთავრდება 2017 წლის 10 ოქტომბერს 18:00 სთ-ზე**</u>;

- ტენდერის გამოცხადების და სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადებზე შეტყობინებას მიიღებენ მხოლოდ ის პრეტენდენტები რომლებიც გადალახავენ საკვალიფიკაციო ეტაპს;
- ტექნიკური დეტალების დასაზუსტებლად ვებ გვერდი აღჭურვილია სპეციალური ონლაინ შეტყობინებების ფუნქციით. თქვენს მიერ გამოგზავნილი შეტყობინება ანონიმური დარჩება ვებ გვერდის ყველა მომხმარებლისათვის და გამოეგზავნება მხოლოდ დამკვეთს.

გისურვებთ წარმატებას!